ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5548706

ნომერი: AR1838848

თარიღი : 19.07.2021

გაცემის თარიღი : 13.08.2021

გაცნობის თარიღი : 13.08.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის, (ნაკვ. 14/140);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჭუმბურიძე პ/ნ 62001018116
- ქ.თბილისი, ზ.ფანასკერტელ ციციშვილის 7, ბინა 71

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 19 ივლისს №AR1838848 განცხადებით მომართა დავით ჭუმბურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 19

ოქტომბრის №5148219 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვარკეთილი-2-სა და ვაზისუბნის საცხ. რაიონს შორის (ნაკვ. 14/140) მდებარე №01.72.14.040.708 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 1; ბლოკი „ა“) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 4 ნოემბრის №5172488 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 4 ნოემბრიდან 2021 წლის 4 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ დამხმარე 45.72 კვ.მ. ფართობის ამოღებას ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებიდან. ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 3386.9 კვ.მ-ის ნაცვლად 3368.23 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 355.6 კვ.მ-ის ნაცვლად 355.64 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 678.5 კვ.მ-ის ნაცვლად 700.07 კვ.მ-ის, სასაწყობე ფართობად 546.24 კვ.მ-ის ნაცვლად 588.94 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 5012.96 კვ.მ-ის ნაცვლად 5012.88 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 5012.88 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 3368.23 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 355.64 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 700.07 კვ.მ., სასაწყობე ფართობად 588.94 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანებით შეთანხმებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას დამხმარე ფართობი 45.72 კვ.მ.

2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა +21.500 ნიშნულის გგემისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.

3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5148219 ბრძანებასთან ერთად.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.